ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1297702

ნომერი: AR1217634

თარიღი : 16.05.2014

გაცემის თარიღი : 29.05.2014

გაცნობის თარიღი : 29.05.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფშიძე , N 9 , (ნაკვეთი 3/73) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ გამყრელიძე პ/ნ 01027018009
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 9 ბ. 7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 31.03.2017 წ. №1197237 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს (შემდგომში – არქიტექტურის სამსახური)

16.05.2014 წ. №AR1217634 ელექტრონული განაცხადით მომართა მალხაზ გამყრელიძემ და მოითხოვა არქიტექტურის სამსახურის 31.03.2017 წ. №1197237 ბრძანებაში ცვლილებების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვნებელებთან და გეგმა–ნახაზებთან დაკავშირებით.

არქიტექტურის სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა შემდეგი: 31.03.2017 წ. №1197237 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ყიფშიძის ქუჩა №9–ში, ნაკვეთი №3/73, შპს „ნათება 2008“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01,14.14.003.073), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია მალხაზ გამყრელიძე.

განმცხადებელი – მალხაზ გამყრელიძე ითხოვს 16.05.2014 წ. №AR1217634 განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი განმარტებითი ბარათისა და გეგმა–ნახაზების შესაბამისად ცვლილების შეტანას არქიტექტურის სამსახურის 31.03.2017 წ. №1197237 ბრძანებაში მითითებულ საცხოვრებელი ფართის, კომერციული ფართის, საზაფხულო ფართის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართის, ავტოსადგომის ფართის და საერთო ფართის ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

მალხაზ გამყრელიძის 16.05.2014 წ. №AR1217634 განცხადებაზე დართული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმა-ნახაზებზე მითითებული საცხოვრებელი ბინის შიდა პერიმეტრზე დაანგარიშებული ფართობების ჯამი არ შეესაბამება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ასახულ ფართობს. ამასთან, საცხოვრებელი ბინების ფართობი ბრძანებაში განსაზღვრული იყო ორ ნომენკლატურად - საცხოვრებელ და დამხმარე ფართებად, რაც წარმოდგენილ კორექტირებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში მოქცეულია მხოლოდ საცხოვრებელ ფართში.

შესაბამისად, არქიტექტურის სამსახურმა დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართები და გეგმა–ნახაზები, რაც შემდგომ აისახა არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოცემულ 31.03.2017 წ. №1197237 ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ვინაიდან, წარმოდგენილი გეგმა–ნახაზებსა და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში მითითებული ფართები შეესაბამება ერთმანეთს, არქიტექტურის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მალხაზ გამყრელიძის 16.05.2014 წ. №AR1217634 განცხადება.
2. შეტანილ იქნას ცვლილება არქიტექტურის სამსახურის 31.03.2017 წ. №1197237 ბრძანებაში, კერძოდ:

ა) ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას დამხმარე ფართობი და საერთო, კომერციული, საცხოვრებელი, საზაფხულო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, ავტოსადგომის ფართობები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

- საერთო ფართობი (კვ.მ).: - 12 104.56

მათ შორის:

- კომერციული ფართობი (კვ.მ).: - 546.74
- საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: – 7561.54
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: - 1094.76
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: - 1069.75
- ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: - 1831.77

ბ) არქიტექტურის სამსახურის 31.03.2017 წ. №1197237 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს დაერთოს მალხაზ გამყრელიძის 16.05.2014 წ. №AR1217634 განაცხადით წარმოდგენილი გეგმები.

3. არქიტექტურის სამსახურის 31.03.2017 წ. №1197237 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას არქიტექტურის სამსახურის 31.03.2017 წ. №1197237 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.